საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

პარასკევი, 11 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია დიდი ვანქის ქუჩაზე № 3. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 8 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 8

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც ელხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 საათამდე.

---

თბილისში მცხოვრები პარტიის ყველა წევრები ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ რაიონებში. პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ თბილისის კომიტეტში.

---

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

---

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 ,აათამდე.

---

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღ. 5 საათ. 7. საათ.

---

## ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო.

21 ივნისს შესრულდება 15 წელიწადი, რაც გარდაიცვალა დაუვიწყარი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე. ამ დღისთვის განზრახულია განსვენებულის ხსოვნის პატივსაცემათ გამოიცეს განსაკუთრებული შინაარსის ნომერი, სადაც მოთავსებული იქნება ალ. წულუკიძის დამახასიათებელი წერილები და სტატიები, მოგონებანი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ და სხ. და სხ. გთხოვთ ყველა ამხანაგებს დაჩქარებით მოგვაწოდონ შესაფერი მასალები და განსაკუთრებით კი განსვენებულის ყოველგვარი წერილები.

---

## განწირული ქვეყანა

ძველი ქვეყანა ირღვევა და ამ რღვევის პროცესი სწვდება მთელ კაცობრიობას. რევოლიუციონური ნგრევა-შენების ალში ყველა ქვეყანაა გახვეული, ზოგი მეტათ, ზოგი ნაკლებათ, ხოლო საერთოთ ისეთივე სტიქიური აუცილებლობით, როგორითაც იმპერიალისტური ომი თავის გამანადგურებელ კორიანტელში ითრევდა როგორც აქტიურათ მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებს. ისტორიას არ ახსოვს ისეთი დიადი მოვლენა, რომელსაც ასე ძირიანფესვიანათ შეერყიოს მთელი ქვეყნიერება ყოველივე გამონაკლისის გარეშე, არ ახსოვს ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც ასეთი ძლიერებით მიეჯაჭვოს თავისკენ მთელი ყურადღება სრულიათ სხვა და სხვა კულტურის, მოდგმის, ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობების ხალხთა და ერთა. კაცობრიობა, როგორც ერთეული, აქამდე წარმოადგენდა გეოგრაფიულ, ან თუ გნებავთ, მხოლოთ პლანეტურ მთლიანობას, რადგანაც ყველა მისი ნაწილებისთვის, დაწყებული უაღრესათ განვითარებული ერებით და გათავებული პირდაპირ ველური ბრბოებით, თანასწორათ საერთო იყო მხოლოთ დედამიწა, როგორც პლანეტა. დღეს ამას ერთვის კაცობრიობის ისტორიულ-საზოგადოებრივი მთლიანობა, რადგან ყველა მისი ნაწილები იწყებენ,—იძულებული არიან დაიწყონ ახალი ცხოვრება, დაამყარონ შინ და გარეთ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, გახდენ თანასწორი მონაწილე ახალი ისტორიისა.

თავისთავათ იგულისხმება, რომ იმ გარდაქმნის პროცესი, რომელიც ასეთი დიდი მასშტაბით სწარმოებს, შედარებით ხანგრძლივი იქნება. მისი ორ-სამ წელიწადში დასრულება შეუძლებელია.

ჩვენთვის უტყუარი ფაქტია ის, რომ ეს დიადი პროცესი უკვე დაიწყო და მისი შეგნებული გამომხატველია საბჭოთა რუსეთი. დღეს საბჭოთა რუსეთი და მისდამი ურთიერთობა მთელ ქვეყანას ორ ბანაკათ ყოფს: ერთ მხარეს დგანან ძველ ქვეყანაში გამეფებული ჩაგვრა-ყვლეფის წარმომადგენელნი და მეორე მხარეს ყველა მათი მსხვერპლნი.

სხვა და სხვა ნაირია თავისი შემადგენლობით მეორე ბანაკი: აქ არის კლასობრივი შეგნებით შეიარაღებული პროლეტარიატიც და სხვა და სხვა დაჩაგრული მსხვილი და წვრილი ერებიც, რომელთა შორის ზოგიერთს ჯერ ნაციონალური შეგნებაც ვერ ჩამოუყალიბებია. მთელი ეს ბანაკი ამხედრებულია თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ: პროლეტარიატი მიისწრაფვის დაამხოს იმპერიალისტური ბურჟუაზია, დაჩაგრული ერები მიისწრაფიან განთავისუფლდენ ამავე ბურჟუაზიის კლანჭებიდან და უკუაგდონ მისი ბატონობა.

ამაში გამოიხატება მთელი ქვეყნიერების რევოლიუციონური პროცესით გარემოცვა. სხვა და სხვა ქვეყნებში ადგილობრივ პირობების მიხედვით სხვა და სხვანაირათ იწარმოებს ეს პროცესი როგორც თავისი ტემპით და ფორმით, ისე, შეიძლება, თავისი შინაარსითაც. ხოლო მის გადამხალისებელ-გარდამქმნელ მოქმედებას ვერ გადურჩება ვერც ერთი მივარდნილი კუთხე, ვერც ერთი ჩამორჩენილი მხარე.

არა ერთსა და ორ დამარცხებას იგემებს ერთიც და მეორე ბანაკიც, სანამ ლოღიკურათ დასრულდებოდეს დაწყებული პროცესი. დროებითი დამარცხებით გულის გატეხა იმას ნიშნავს, რომ მთელი პროცესი შეუცნობელია, მისი ჭეშმარიტი ხასიათი ჯეროვანათ არ არის შეფასებული. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ვსცნოთ, რომ რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელდეს ეს პროცესი, რამდენ ხანსაც უნდა იდგეს განმარტოვებულათ საბჭოთა რუსეთი, როგორც ბურჟუაზიული წყობილების განვითარება ვერ შეაჩერა თავის დროზე ვერავითარმა ძალამ, ისე მეოცე საუკუნეში დაწყებულ სოციალისტურ რევოლიუციის მსვლელობას და სოციალისტურ წყობილების დამყარებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი დროებითი შეფერხება ან წაბორძიკება. ძველი ქვეყანა განწირულია და მას ვერაფერი იხსნის.

ამ ძირითად დებულებაზე დამყარებული ჩვენი ტაქტიკა, ამით ვხელმძღვანელობთ ჩვენ ყოველ დღიურ მოქმედებაში.

---

## პოლიტიკური მდგომარეობა

დღევანდელი მდგომარეობა უთუოთ დიდათ ჩამაფიქრებელია.

თუ დღემდის ვისმეს ანტანტის რამე სწამდა და ზავზე ოცნებობდა, მან არ იცოდა, რომ კაპიტალისტურმა წარმოებამ მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში თავისი როლი შეასრულა და ის უკვე მავნებელი შეიქმნა.

რადიოს ცნობით ყირიმიდან ვრანგელი შეტევაზე გადავიდა. მან ტანკები აამუშავა და პოლონელთა შემოტევას თავის სამხედრო ოპერაციებს უფარდებს.

პოლონელმა ჯარებმა ბელოროსია დაიპყრო და შუაგულ უკრაინაში შეიჭრა.

პოლოცკისა და კიევის რაიონებში სასტიკი ომი გაჩაღდა.

პოლონელ ჯარებს ზურგს უმაგრებს ინგლისი და საფრანგეთი: ისინი მათ სამხედრო მასალას, სურსათს და ტანსაცმელს აწვდიან.

ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში სდარაჯობს და ვრანგელს ზურგს უმაგრებს ოდესას ვრანგელის დესანტით ემუქრება.

„სოციალისტი" სიმონ პეტლიურა პოლონელ და მოტყუილებულ გალიციელ ჯარებთან ერთად შავ რეაქციას გვერდში ამოუდგა. მას დაავიწყდა ის სისხლის ღვრა, რომელიც მას შეხვდა პოლონელ ლეგიონთა და საფრანგეთ-ინგლისის ჯარებთან 1918 წ. დეკემბერში, ქ. ოდესაში.

ერთი შეხედვით რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა კვლავ საფრთხეში ვარდება.

მაგრამ მეორე მხრით ინგლისელების ჯარი, ინდუსები, რეშტის აჯანყებულთ არ შეებრძოლენ, და ინგლისელები ბაღდადისკენ იხევენ. რეშტში „რევკომი" შესდგა, რევოლიუცია ძლიერდება.

იტალიის სოციალისტების ცეკა რევოლიუციისათვის მოუწოდებს. ისინი კაპიტალისტურ წარმოებას ომს უცხადებენ.

ბულგარეთის პარლამენტი ძველ დეპუტატებს პასუხის გებაში აძლევენ სოც. რევოლიუციისაკენ მოწოდებისთვის.

ასე რომ, ერთიც და მეორეც თან და თან მსხვილდება და ეს მდგომარეობა ყოველივე ორჭოფობას ბოლოს უღებს.

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია უკანასკნელად შეიჭიდენ, ორივემ ძალების მობილიზაცია გამოაცხადა. საბჭოთა რუსეთისათვის ეს პირველი არაა, მან ასეთი მრავალი კრიზისი გადაიტანა:

პირველი ის, რამაც გამოიწვია ბრესტის ზავი, მეორე ჩეხო-სლოვაკების შემოსევა ისეთ დროს, როდესაც ს. ს. რესპუბლიკას ერთი ხეირიანი დივიზიაც კი არ ყავდა, გარდა ერთგულ ლატიშთა 2 პოლკისა. მესამე კოლჩაკი, იუდენიჩის ღ დენიკინის სახით ევროპის ბურჟუაზიული ჯარების და შინა თეთრგვარდიელების იერიში ორიოლამდის და პეტროგრადის განაპირა ქუჩებშიაც კი. შემდეგ დამარცხებულებმა კონტრ-რევოლიუციის ბაზათ პოლონეთი და ყირიმი აირჩიეს.

ჩვენ გვწამდა, რომ კოლჩაკის დამარცხება არ იქნებოდა უკანასკნელი. ევროპის ბურჟუაზია სხვა გზას აირჩევდა საბრძოლველად, და ასე მოიქცევიან ისინი, მანამ ლონდონისა, პარიზის და რომის ქუჩებში პროლეტარიატი საბრძოლველად არ გამოვა მათი მთავრობის დასამხობათ. და ეს პოლონეთის დამარცხებას უნდა მოყვეს.

ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლონეთს გარდა ანტანტას სხვა გზა აღარ დარჩენია. მას აღარ შეუძლია დაამყაროს იმედი წვრილ-წვრილ პარტიზანებზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, როგორიცაა უკრაინელი „სოციალ-დემოკრატი" სიმონ პეტლიურა, ესერი ტიტიუნიკი და სხვა.

მეორე მხრივ აღმოსავლეთით საბჭოთა რუსეთი უზრუნველყოფილია. იქ რევოლიუცია ინგლისის ჯარს მიერეკება:

განაპირა ქვეყნები რუსეთთან ზავს კრავენ. კერძოთ საქართველო დღეს თუ ხვალ სრულ მოკეთედ უნდა გამოვიდეს საბჭოთა რუსეთისა—სწორედ დამოუკიდებლობის დაცვა ამას უკარნახებს მას—ან ანტანტის მჩაგვრელებისაკენ ან განმათავისუფლებელ საბჭოთა რუსეთისაკენ.

დღევანდელი ამბები, თქმა არ უნდა, რყევაში მყოფ სოციალისტებს მარცხნით მიაქანებს. კითხვა ასე სდგას: ან რევოლიუციისაკენ, ან კონტრ-რევოლიუციისაკენ.

**თენგიზი.**

---

## პრესა

„ბორბას" თანამშრომელმა სანმა ვერ გაართვა თავი ჩვენს გაზეთში მოთავსებულ განმარტებას წითელ არმიელებისადმი მოწოდების შესახებ და ღობე-ყორეს ედება. ის სწერს:

„მოწოდებას, ამნაირათ, თითქო შეცდომაში შეყავს რუსეთის წითელარმიელები. „კომუნისტი" **აფრთხილებს** მათ... ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ საქართველო დაუსრულებლათ შორსაა სოციალისტური მუშაობიდან, რომ აქ ღიათ რჩება მიწის საკითხი და დასასრულ, აქ ლაპარაკიც არ შეიძლება მუშების და გლეხების დიქტატურაზე".

ნამდვილათ კი ჩვენს გაზეთს ამ მოწოდების გარჩევის დროს სრულიათ არ ყავდა · სახეში რუსეთის წითელარმიელები, რომელთაც მიმართავს მოწოდება, სრულიათ არ აფრთხილებს და არც არაფერში არწმუნებს მათ. მას მხედველობაში ყავდა მოწოდების ხელის მომწერი, რომელიც თავისათ ასაღებს მის მიერ სიტყვით და საქმით უარყოფილ პრინციპებს და აშკარა ტყუილს ლაპარაკობს ადგილობრივ სინამდვილეზე. ეს აღვნიშნეთ ჩვენ და ჩვენს მოკამათესაც, თუ მას კამათი სურდა, უნდა დაემტკიცებია, რომ მოწოდების ყველა დებულებები ხალასი ჭეშმარიტებაა. ეს შეუძლებელი საქმე ვერ შესძლო მან და სიტყვის ბანზე აგდებით ცდილობს ფონს გავიდეს. აი რას სწერს ის:

„გაზეთი ყველა ამ საკითხებში საქართველოს ადარებს საბჭოთა რუსეთს და, რა თქმა უნდა, ყველა უპირატესობას უკანასკნელის მხარეზე ხედავს".

ნამდვილათ კი ერთი სიტყვითაც არ წამოგვცდენია ჩვენ ეს შედარება და არა საჭირო იყო; განა შეუდარებლათ არ შეიძლება საქართველოს სინამდვილეზე ლაპარაკი? ჩვენს მოკამათეს კი აქეთ გადააქვს საკითხის სიმძიმე, რომ ერთხელ კიდევ გული მოიფხანოს საბჭოთა რუსეთის გინებით და მით სადავო საკითხი მიაფუჩეჩოს.

* * *

„სახ. საქმე" კვლავ განაგრძნობს შავრაზმულ აგიტაციას. მისთვის საბჭოთა რუსეთ საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის მონობა და ფიზიკური განადგურება და ინგლისელ იმპერიალისტებს, ამ ნამდვილ ჯალათებს ინდოეთის, ირლანდიის და საერთოთ ყველა ქვეყნის მშრომელი მასისა,—თავისუფლება და ბედნიერება. ის სწერს:

რუსეთის დაბრუნება ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში—ეს იქნება უეჭველია განჯის ამბების გარემოება, მოსპობა არა მარტო საქართველოს თავისუფლებისა, არამედ ქართველი ხალხის ფიზიკურად განადგურება.

უკან დაბრუნება, მონობისაკენ წასვლა იქნება, თუ რუსეთი რაიმე სახით ჩვენ დაგვიახლოვდა. ამიტომ ჩვენ ყოველთვის იმ ძალის ძებნაში უნდა ვიყოთ, რომელთან დაკავშირება დაგვიხსნის რუსეთის დაბრუნებისა და განჯის ამბების მსგავსის საქართველოში გამეორებისაგან.

სამაგიეროთ „სახალხო" სურვილს გამოთქვამს, რომ საქართველო ინგლისის კოლონიაში შევიდეს.

---

მეორე წერილში ბ-ნი ს. ფირცხალავა ილანძღება.

„განჯის საშინელებანი—სწერს იგი—მჭერმეტყველურად გვეუბნებიან, თუ რა ყოფილა რუსის ბოლშევიკების მეგობრობა, თუ როგორ სწამთ იმათ სხვისი უზენაესობა და უფლება. უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე სცემენ პატივს ჩვენთან დადებულ ხელშეკრულობას".

ეს რუსეთის კომუნისტების შესახებ.

ახლა საქართველოს კომუნისტებზე.

„არა ნაკლებ სახიფათოა მათი პროპაგანდა შიგ საქართველოში, ბოროტად სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებას, მილიონებს ხარჯავენ დაუზოგავად და სიტყვით თუ ბეჭდვით საშინელს ქადაგებას აწარმოებენ ჩვენი სახელმწიფოებრივობის დასარღვევად, ჩვენი ეროვნული თვითარსებობის მოსასპობათ".

ეს დაყუდებული ბერი ახლა პროვოკატორობის და ჯაშუშობის როლშიაც გამოდის.

---

## მუშათა მოსკოვი და ინგლისის დელეგაცია.

(იხ. დასაწყისი „კომუნისტის" მე-3 №-ში.)

**ამხ. პოლუენის სიტყვა.**

(ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარე).

მის სიტყვას თარგმნის ამხ. პეტროვი.

— ამხანაგებო, ამხ. პოლუენი ამბობს: „დღეს აქ გამოვდივარ დიდიბრიტანეთის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის სახელით და სოციალისტური პარტიის სახელითაც და მხურვალე მისალმებას მიუძღვნი რუსეთის პროლეტარიატს (ტაში) ამხანაგი პოლუენი ამბობს, რომ იმ დღიდან, როცა მან და მისმა ამხანაგებმა ფეხი შემოდგეს რუსეთის ტერიტორიაზე, აქ იხილეს ის, რასაც ისინი ეტრფიან და რაც დღემდე მხოლოთ მათ ოცნებას წარმოადგენდა. მათ აქ იხილეს იმ სოციალიზმის დასაწყისი, რასაც ისინი დღემდე სწირავდენ მრავალ მსხვერპლს და დღესაც სწირავენ. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ისეთი შავი სალებავებით ხატავდა რუსეთის ცხოვრებას, ისეთ ცრუ ხმებს ავრცელებდა და ავრცელებს მის შესახებ, რომ ძნელათ თუ მოიპოვება ისეთი ნორმალური ადამიანი, რომ დაიჯეროს ყველაფერი ეს; ყოველ შემთხვევაში ის მაინც დაჟინებით განაგრძობს ასეთი ზღაპრების გავრცელებას. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მათ პრესაში თანაგრძნობის

ერთი სიტყვაც არ თქმულა. მაგრამ, ამბობს ამხ. პოლუენი, ეს გარემოება მას სულაც არ აკვირვებს რადგან ეს მისი აზრით ბუნებრივია, ვინაიდან ინგლისის ბურჟუაზიამ იცის, რომ ყოველივე ის, რაც რუსეთში ეწყობა და რასაც რუსეთის პროლეტარიატი ესწრაფვის, ის ყველა სხვა ქვეყნის მუშებს იმედს და სასოებას ულვიძებს, სწორეთ ეს არის მიზეზი მისი გააფითრებული ბრძოლისა საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ მათ ეშინიათ საბჭოთა რუსეთის და ამიტომ დაადგენ ისინი ასეთ ტაქტიკას. მე კი ამის გამო მრცხვენია, მრცხვენია არა ინგლისის მთავრობის ტაქტიკისა გამო, არამედ ჩვენი მუშათა კლასის რომ მან ვერ შესძლო მტკიცეთ დამდგარიყო პოზიციაზე, ერთსულოვნათ როგორც ერთი კაცი, და საყოველთაო გაფიცვით ბოლო მოეღო საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ გამოცხადებულ ყოველგვარ ბლოკადისათვის! (ტაში.)

ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის ტერორზე, ვითომ ეს ტერორი ოქტომბრიდან დაწყებულიყოს და თითქო მანამდე ის რუსეთში არ არსებობდა; მაგრამ ჩვენ ვიცით, ჩვენ ისტორიაში ვკითხულობთ, რომ ის სისხლიანი ზოლი, რომელიც ვლადივოსტოკიდან მიდის და სხვა ქვეყნებამდე აღწევს, გავლებულია თვით რუსეთის და სხვა ქვეყნების მთავრობათა რეაქციის ხელით. ვითომ ეს ტერორი არ იყო! ნამდვილათ კი სწორეთ ამ კაპიტალისტებისა და თვითმპყრობელობის ტერორებს ებრძოდა ბევრი ჩვენთაგანი, რომელთაგან მთავრობები ბევრს ციმბირისაკენ ერეკებოდა და ბევრსაც სახრჩობელაზე ჰკიდებდა ხოლმე. დღეს, მხოლოთ დღეს დავინახეთ, რომ ყველაფერი ის, რაც რუსეთის ტერიტორიაზე გაკეთებულა და კეთდება, სწორეთ რომ ნაყოფია იმ ტერორთან ბრძოლისა.

— ამხანაგებო! — განაგრძობს პოლუენი — როცა ჩვენ ვუკვირდებით ყოველივე იმას, რაც რუსეთში ხდება, მივდივართ იმ დასკვნამდე და ნათლათ ვხედავთ, რომ აქ, რუსეთში კეთდება უდიადესი საქმე, საქმე მსოფლიო მშვიდობიანობისა, აქ იჭედება ბედნიერება კაცობრიობისა, აქ თავისუფლდება მუშათა კლასი; აქ აუტანელ და საშინელ პირობებში, სადაც კაპიტალისტებს მთელი თავისი ძალღონით უკანასკნელი იერიში მიაქვთ სოციალისტურ რესპუბლიკის წინაალმდეგ, შენდება კომუნიზმი, მყარდება სოციალისტური წყობილება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ვითომ მუშათა კლასს ნიჭი აკლია, მას არა ჰყავს ადმინისტრატორები, მას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო გამოცდილება; მაგრამ ყოველივე ის, რაც ამ საშინელ პირობებში რუსეთში დღეს კეთდება, ჩვენ უცილობლათ გვარწმუნებს იმაში, რომ მუშათა კლასს ნიჭიც საკმაო აქვს და ძალაც შესწევს.— ბურჟუაზია კი რას აკეთებდა? მას კაცობრიობა მიჰყავდა იქეთკენ, რომ ის, რაც მრავალ თაობათა ხელით გაკეთებულა, ერთ დღეს გაენადგურებია, რომ დედამიწის პირი მრავალ მილიონი მკვდართა გვამებით და დასახიჩრებულებით მოეფინა. ბურჟუაზიას შეეძლო მხოლოთ ქვეყანა დაენგრია, სისხლში ჩაეხრჩო იგი. თქვენ აქ, ამხანაგებო, (მიმართავს პოლუენი რუსის მუშებს) ახალ ქვეყანაში, სოციალისტურ ქვეყანაში მიგვყევართ და ჩვენ დღეს თქვენ შორის ვხედავთ თანამედროვე ადამიანის უდიადეს პიროვნებას, ეს პიროვნებაა ამხ. ლენინი! (ტაში) მას, რაც თქვენში დღეს დაწყებულია, სხვა ქვეყნების პროლეტარიატი დაამთავრებს. ჩვენ კი, როცა სამშობლოში დავბრუნდებით, იქ ჩვენს პროლეტარიატს ვუამბობთ, რომ თქვენ საშინელ და აუტანელ პირობებში ჰქმნით ყველაფერს და ჩვენ ულრმესათ დარწმუნებული ვართ, რომ შევსძლებთ აღვანთოთ მის გულში ბრძოლის ცეცხლი, რომ მან თქვენთან ერთათ იბრძოლოს სოციალიზმისათვის!

გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!

გაუმარჯოს თქვენს რევოლიუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ამხ. პოლუენის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბრიტანიის მუშათა კლასის წარმომადგენელ ქალს, ამხ. ს ნ ო უ დ ე ნ ს.

**ამხ. სნოუდენი.** ის სალამს უძღვნის რუსეთის პროლეტარიატს ინგლისის მუშათა პარტიის სახელით და განსაკუთრებით კი ბრიტანეთის მუშა ქალთა სახელით (ტაში). ბრიტანიის მუშა ქალებს სურთ, ამბობს ის, გაიგონ, თუ რა კეთდება რუსეთში, რომ მიბაძონ მას და მათაც შემდეგში იგივე აკეთონ.

— მე არ მსურდა, ამბობს ამხ. სნოუდენი, რომ თქვენ აქ შეცდომაში შეეყვანეთ, რომ თქვენ წარმოგედგინათ, თითქო ინგლისის 7 მილიონიანი ტრედიუნიონი მზათაა ხვალიდანვე გადაეშვას ბრძოლაში და თავი დასდოს სოციალიზმისათვის. საჭიროა ფაქტს ანგარიში გაუწიოთ. ამხ. სნოუდენის სიტყვით, ტრედიუნიონებისაგან ასეთ რასმე არ უნდა მოველოდეთ.

მართალია, ინგლისის მუშათა კლასი პოლიტიკურათ იბრძვის და ამიტომ ის ხშირათ გაფიცვებსაც მიმართავს. მაგრამ ამხ. ორატორს ქალს რცხვენია იმისი, რომ ინგლისის მუშათა კლასი გადამჭრელი ბრძოლისთვის ჯერ კიდევ მზათ არ არის. მაგრამ, განაგრძობს ის, ჩვენ ალთქმასა ვდებთ თქვენ წინაშე, გავაგებით ყველაფერი მას, თუ როგორ იბრძვით თქვენ დიად საქმისთვის და როგორ გიშლიან ხელს ამ ბრძოლაში, როგორც ინგლისის, ისე მთელი ქვეყნის კაპიტალისტები.

სპეციალურათ რუსეთის ქალებს ამხ. სნოუდენი შემდეგი სიტყვით მიმართავს: ჩვენ გვსურს გავიგოთ ის, რაც აქ კეთდება ქალების მხრივ საერთოთ ქალებისა და ბავშვებისათვის.

— თქვენ, ვფიქრობ, ძალიან ბევრს აკეთებთ ბავშვებისათვის. შემდეგ ამხ. ორატორი ქალი ამბობს, რომ მან ინახულა ყველა ის დაწესებულება, რომლებიც ბავშვების კეთილდღეობის შესაქმნელათ არის დაარსებული და დარწმუნდა იმაში, რომ საქმე ჩინებულათ არის დაყენებული. ის ამ დაწესებულების ბავშვებს ვენის დაწესებულებათა ბავშვებს ადარებს და ამბობს, რომ იქ ვენაში ბავშვები საშიშრათ გამოიყურებიან, მათ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალს ვერ შეამჩნევთ; აქ კი სულ სხვა სურათს ვხედავთო. ამხ. ინგლისელი ქალი სიტყვას ასე ათავებს: „ჩვენ ვმუშაობდით ბავშვებისათვის, ჩვენ ვმუშაობთ მომავლისათვის და ყველა ჩვენ სოციალიზმისაკენ მივისწრაფვით.

ამხ. **აბრამოვიჩი** გამოდის მოსკოვის საბჭოს ს. დ. ფრაქციის და ს. დ. „ბუნდის“ სახელით. ის ამბობს, რომ ინგლისის მუშათა დელეგაციის მიზანია თავისივე თვალით ნახოს ყოველივე, რაც რუსეთში ხდება დღეს და თვითონვე დარწმუნდეს მის სინამდვილეში, რაც მეტათ მნიშვნელოვანია. ამ მომენტში, როცა რუსეთის წინაალმდეგ მიმართულია ახალი რეაქციონური ძალა და ახალი შემოტევაა დაწყებული. ყველაფერი ეს ანტანტას ემსახურება. ბლოკადა ფორმალურათ თუმცა მოხსნილია, მაგრამ ფაქტიურათ ის კვლავ მძვინვარებს და ახრჩობს ჩვენს ქვეყანას. ინგლისის სამხედრო ფლოტი გარს არტყია ყირიმის ნაპირებს და ზარბაზნებს უშენს მას. ამნაირათ ის უხეში ძალით ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში. პოლონეთიც ანტანტის თანხმობით და წაქეზებით მოქმედებს და საფრანგეთმაც, როგორც მისმა მოკავშირემ, რუსეთის წინაალმდეგ დაიწყო შემოტევა.

ქვევით ორატორი შეეხო მენშევიკებისა და კომუნისტურ პარტიებს შორის არსებულ უთანხმოებას და ის აზრი გასოთქვა, რომ რაგინდ ღრმა იყოს ეს უთანხმოება, ის მაინც ხელს არ უნდა უშლიდეს რუსეთს იმპერიალიზმთან ბრძოლაშიო.

ამხ. **შოუს სიტყვა,** ამხ. შოუ. (ინგლისის, პარლამენტის წევრი, ბამბეულობის საქსოვ ფაბრიკების მუშათა წარმომადგენელი) მის სიტყვას თარგმნის ამხ. ბალაბანოვის ქალი.— ამხ. შოუ ინგლისის მუშების სახელით სალამს მიუძღვნის რუსეთს.

მას სურს ისეთივე გულ-ახდილობით უპასუხოს რუსეთის მუშებს, როგორი გულ-ახდილობითაც შეხვდენ ინგლისის დელეგაციას რუსეთის საბჭოთა და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლები. ეს გულ-ახდილობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი აზრით, ინგლისში თუმცა მუშათა მოძრაობა იზრდება და ძლიერდება, მაგრამ იქ არაა ის, რასაც რუსეთში რევოლიუციონურ მოძრაობას უწოდებენ. ინგლისში ერთ კავშირსაც არც ერთი დადგენილება არ მიუღია, იმ მხრით, რა აზრითაც აქ რევოლუციონურს არქმევენ. ორატორს ჰგონია, რომ ამხ. ორატორი ქალი შემცდარია, როცა ამბობს, რომ ინგლისში მაღაროს მუშები მაღაროების და სამთა-მადნო წარმოების ნაციონალიზაციას მოითხოვენო. მაგრამ მიუხედავათ ამისა ინგლისში არ არის ერთი მუშა, რომელიც არ მოითხოვ[...] რომ რუსეთს ბლოკადა მოხსნან. [...]ტორი ფიქრობს, რომ დელეგაცი[...] იღებს ზომებს, რომ ინგლისის მთა[...] ბამ დახმარება არ გაუწიოს პოლო[...]

ორატორი ფიქრობს, რომ მოძრ[...] განსაზღვრული კანონის მიხედვით მ[...] ნარეობს. ყველგან ერთ კალაპ[...] მისი ჩაყენება არ შეიძლება. სოცია[...] ტური წყობილება ყველგან თავ-თ[...] განსაკუთრებული მისწრაფებისა და [...] ტერესების მიხედვით დამყარდებაო.

ამხ. **ვილიამსი.** (სატრანსპორტო [...] შათა კონფერენციის მდივანი, ინგლ[...] მუშათა რევოლიუციონური მოძრა[...] ერთი უმთავრესი წარმომადგენელთ[...] ნი). ამხან. ბალაბანოვის ქალის გა[...] ცემით ის ამბობს:

„ძმურ სალამს მიუძღვნი საბჭოთა [...] სეთს ინგლისის რევოლიუციონური [...] სოციალისტური ორგანიზაციების [...] ლით (ტაში)!“.

ორატორი ამბობს, რომ საქმე [...] როდია, თუ რამდენია რიცხვით ის[...] თი ათასი თუ ხუთჯერ ასი ათასი. [...] მე ისაა, რომ ის დღეს საგრძნობ ძ[...] წარმოადგენს და მას შეუძლია დ[...] ბულ სოციალისტურ საქმისთვის [...] ოლოს (ტაში). ორატორი ამბობს, როცა ისინი რუსეთისკენ მიემგზავრ[...] დენ, სულაც არ ფიქრობდენ, ვერც [...] მოედგინათ, თუ ისინი აქ ასეთ შეხ[...] რას პოვებდენ. ისინი მეტათ მადლ[...] ნი არიან ასეთი დახვედრით. და ეს [...] ვედრა მათ აღფრთოვანებს, გაამხნ[...] მაშინაც კი, როცა ისინი სამშობლ[...] დაბრუნდებიან.

რამდენათაც გავიგე — ამბობს ამხ. ვ[...] ამსი — ამხანაგი კამენევი მართალია, [...] ცა ამბობს, რომ რუსეთის მუშების [...] ჯვა-ვაების დიდი ნაწილის პასუხის[...] ლობა დასავლეთის მუშებს აწევთ [...] რათ და ერთი ნაწილი კიდევ პირდ[...] ინგლისის მუშათა მოძრაობასო. ინგ[...] ში არ იყო ისეთი მძიმე ჩაგვრა, როგ[...] რუსეთში და მასთან ინგლისის ბუ[...] აზია მეტათ მოქნილი და მარჯვე [...] დგა. ის მუშებს თავზე ხელს უსვამს, [...] რასმე უთმობს მათ და ამით ბევრი [...] მიერი ელემენტის გულს ინადი[...]

# პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა

ჩვენ ვიცით, რომ ძველი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დიდი რევოლიუციის ხანაში, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება, აღმოცენდა და განვითარდა ერთი მხრით პროლეტარული სახელმწიფო საბჭოების სახით და მეორე მხრით წარმოიშვენ ისევ ძველი სახელმწიფოებრივი ფორმები, მართვა-გამგეობის ძველი სისტემები ანუ წმინდა ბურჟუაზიულ-პარლამენტარული რესპუბლიკები.

დღემდის პროლეტარული სახელმწიფო ანუ საბჭოების სისტემა ამა თუ იმ სახით დამკვიდრდა ევროპის რუსეთში, უკრაინაში (მალოროსიაში), მთელ დასავლეთ ციმბირში, აღმოსავლეთის ციმბირის მრავალ ადგილებში, თურქესტანში, ჩრდილო-კავკასიაში დაღესტნითურთ. იმავე დროს ბურჟუაზიულ-პარლამენტარული წყობილება ძველი რესპუბლიკანურ სახელმწიფოების სახით დამყარდა ფინლიანდიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში და ამიერ-კავკასიაში, ე. ი. საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში*).

აქ ვერ შევეხებით იმ მიზეზების გარკვევა-აღნუსხვას, თუ რად მოხდა ის, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ერთ ნაწილში უკანასკნელ რევოლიუციას შედეგათ მოუყვა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სრულიად ახალი ტიპის ანუ საბჭოთა რესპუბლიკის აღმოცენება და დამკვიდრება, და მეორე ნაწილში კი, განსაკუთრებით ყოფილ იმპერიის განაპირა ადგილებში, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ისევ ძველი ფორმები ანუ ბურჟუაზიული რესპუბლიკები ბოგინობენ. მხოლოდ ერთი გარემოება კი უნდა აღვნიშნოთ აქვე: რომ საერთაშორისო იმპერიალიზმს შეუბრალებელი ომი არ გამოეცხადებია პროლეტარულ რუსეთისათვის, რომ ჯერ გერმანიის, შემდეგ ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტები არ ჩარეულიყვნენ რუსეთის სამოქალაქო ომში, რომ ამ მტაცებლებს არ შეეყვანათ თავისი ჯარები ფინლიანდიაში, ბალტიის მხარეში, პოლონეთში, ამიერ-კავკასიაში და ძალმომრეობა არ მოეხდინათ ადგილობრივ მშრომელ მასსაზე, დარწმუნებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ დასახელებულ ადგილებში ნაცვლათ ბურჟუაზიულ-პარლამენტარული წესწყობილებისა ჩვენ გვექნებოდა დღეს ისეთივე სახელმწიფოებრივი ფორმა, როგორიც დამკვიდრდა ცენტრალურ რუსეთში და მის ზოგიერთ პერიფერიებში — საბჭოების სისტემა, საბჭოთა მთავრობა. მეორე მხრით არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე, სადაც რევოლიუციონური დუღილი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და სადაც აშკარა სამოქალაქო ომი სწარმოებს, არავითარ მთავრობას, მართვა-გამგეობის არც ერთ ფორმას არ ძალუძს ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი არსებობა, თუ მას ზურგს არ უმაგრებს, თუ მას აქტიურათ მხარს არ უჭერს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, ესე იგი მუშები, გლეხები, ჯარისკაცები. ეს დებულება უფრო სამართლიანი და სწორი ხდება ახლა, როცა გარეშე იმპერიალისტური ძალების აქტიური გავლენა რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებზე, პროლეტარული რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების მეოხებით რუსეთში, ძალზე შესუსტდა ან სრულიად მოისპო.

აშკარაა, სანამ ჯერ კიდევ ჩვენში რევოლიუციის დუღილი არ შეჩერებულა, სანამ ჩვენ კიდევ სამოქალაქო ომის ხანაში ვიმყოფებით, სანამ ჯერ კიდევ არ მომხდარა ბურჟუაზიული რესპუბლიკის შედედება-შედუღება (კონსოლიდაცია), სანამ ჯერ კიდევ არ გამაგრებულა ბურჟუაზიის დიქტატურა, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება და პროლეტარულ სახელმწიფოს დამკვიდრება დღის წესრიგში უნდა იდგეს და მთელი მუშათა კლასსის დღევანდელ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს. საქართველოს მშრომელი მასსის წინაშე დღეს ორი პრაქტიკაა: ერთია პრაქტიკა საბჭოთა რუსეთის ანუ პროლეტარული სახელმწიფოსი, რომელი პრაქტიკაც ამ მასსას თითონ არ განუცდია, თავისი თვალით არ უხილავს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, რომლის გათვალისწინების უნარს იგი მოკლებული არაა. მეორე პრაქტიკაა ქართველ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ბურჟუაზიული სახელმწიფოს, პრაქტიკა, რომელიც ქართველ მუშებმა და გლეხებმა თითონ განიცადეს და დღესაც განიცდიან, რომელსაც საქართველოს მშრომელი მასსა თავისი საკუთარი თვალით ხედავს. აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენმა მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება ზედმიწევნით შეიგნონ ძირითადი განსხვავება ამ ორ პრაქტიკას შორის, ე. ი. გაითვალისწინონ არსებითი განსხვავება პროლეტარულ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელსაც ქართველი მენშევიკები აარსებენ დღეს ჩვენში.

ამ წერილში ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ ეს საკითხი რაც შეიძლება ადვილი გასაგები ენით და რაც შეიძლება მოკლეთ.

## 1. ბურჟუაზიული თუ პროლეტარული რევოლიუციის ხანაში ვიმყოფებით დღეს?

თავდაპირველათ საჭიროა ამ კითხვის გადაჭრა. მართალია, ცხოვრებამ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ იგი უკვე გადაჭრა. მაგრამ რას იზამთ, როცა ეგრედ წოდებული მემარჯვენე სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით მენშევიკების პარტია, სინამდვილეს ანგარიშს არ უწევენ და უნდათ ისტორიის ჩარხი უკან შეატრიალონ.

1917 წლის რუსეთის რევოლიუციის მეთაური და მისი ერთად ერთი მატარებელი კლასსი იყო პროლეტარიატი. პროლეტარიატმა ჯარისკაცებათ გადაცმულ გლეხების დახმარებით ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგების-როდზიანკო-მილიუკოვ-გუჩკოვების-სურვილის წინაალმდეგ მეფობა სამუდამოთ დაამხო და მაშინვე დაარსა მუშათა დეპუტატების საბჭო, როგორც ორგანო რევოლიუციონური მთავრობისა და მართვა-გამგეობისა. პროლეტარიატთან ერთათ რევოლიუციის მატარებელ და მამოძრავებელ კლასს წარმოადგენდა აგრეთვე ღატაკი, უმიწაწყლო ან მცირე მიწის პატრონი გლეხობა. რევოლიუციის გამარჯვება თხოულობდა ამ კლასსის გატაცებას რევოლიუციით, მის ჩათრევას რევოლიუციაში.

ამნაირათ რევოლიუციის გამარჯვებით არსებითათ დაინტერესებული იყო ორი კლასსი: ქალაქის მუშები ანუ პროლეტარიატი და სოფლის მუშა ხალხი ანუ ღარიბ-ღატაკი გლეხობა. მაშასადამე, რევოლიუციის გამარჯვება თხოულობდა, რომ მთელი ძალა-უფლება სახელმწიფოში მუშების და გლეხების ხელში უნდა გადასულიყო. მუშები და გლეხები ამ ძალა-უფლებას გამოიყენებდენ გაყვლეფილ და დაჩაგრულ კლასსების სასარგებლოთ მყვლეფელ და მჩაგვრელ კლასსების-კაპიტალისტური ბურჟუაზიის და მემამულეების წინაალმდეგ, ე. ი. იმათი ბატონობის **გასატეხათ,** იმათი დიქტატურის დასაძლევათ. მაშასადამე, მუშების და გლეხების მიერ ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდება უნდა გადაქცეულიყო პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის დიქტატურათ. აქედან აშკარაა, რომ რუსეთის 1917 წლის რევოლიუციას თავიდანვე პროლეტარული ხასიათი ქონდა, და არც შეიძლებოდა, რომ მას ასეთი ხასიათი არ ქონებოდა. რევოლიუცია გაიმარჯვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი განვითარება და მსვლელობა მოხდებოდა ამ ერთად ერთი ბუნებრივი გზით; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამარცხება აუცილებელი იყო, ვინაიდან 1917 წლის თებერვალში პეტერბურგის მუშების მიერ მოხდენილი გადატრიალების აზრი და მნიშვნელობა მარტო მეფობის დამხობაში კი არ მდგომარეობდა, არამედ მისი აზრი და მნიშვნელობა მდგომარეობდა ბურჟუაზიის და მემამულეების ჩაგვრის მოსპობაში, და თუ ეს ჩაგვრა ისევ დარჩებოდა, ეს იქნებოდა ერთ და იმავე დროს როგორც რევოლიუციის, ისე პროლეტარიატის დამარცხება.

მაგრამ მემარჯვენე სოციალისტურ პარტიები, მენშევიკები და ესერები (ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი, კერენსკი, ჩერნოვი, გოცი), რომლებიც თებერვლის რევოლიუციის ხანაში მუშათა კლასს მეთაურების როლში მოევლინენ, ასე როდი ფიქრობდენ. ისინი მსჯელობდენ ასე: მეფობის დამხობით რევოლიუცია დამთავრდა; ძალა-უფლება სავსებით ბურჟუაზიის ხელში უნდა გადავ[...] მუშათა კლასსმა ამ ხნობით თავისი [...] ლი შესრულებულათ უნდა ჩათვალ[...] დაკმაყოფილდეს იმით, რასაც მას [...] ტალისტები და მემამულეები მის[...] ისინი ასაბუთებდენ ამას იმით, რომ [...] ვოლიუცია, რომელიც დღეს რუს[...] ხდება, წმინდა ბურჟუაზიულია, და [...] პროლეტარული, რომ პროლეტარ[...] რუსეთში ჯერ არაა მომზადებული [...] ლეტარული ანუ სოციალისტური რ[...] ლეუცია მოახდინოსო. სწორედ [...] მსჯელობდენ კაპიტალისტები და [...] მულეები (მილიუკოვები, ტერეშჩე[...] ბი, კონოვალოვები, რიაბუშინსკოებ[...] ლვოვები). ამნაირათ მენშევიკები [...] ესერები ერთი მხრით და კაპიტა[...] ტები და მემამულეები მეორე მ[...] მოქმედებდენ თითქმის სრულიად შ[...] ხმებულათ მუშათა კლასსის არს[...] ინტერესების წინაალმდეგ. ისინი ერ[...] რათ სამარეს უთხრიდენ როგორც [...] ლეტარიატს და გლეხობას, ისე [...] რევოლიუციასაც. იმავე დროს [...] ატყუილებდენ მშრომელ მასსას სხვ[...] სხვა დაპირებებით და ლამაზ-ლ[...] სიტყვებით, მაგრამ ეს ღალატი დ[...] გაიგეს რუსეთის მუშებმა და გლეხ[...] 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბ[...] სტ.) მოხდა მეორე რევოლიუცია, [...] მელმაც დაამხო ბურჟუაზიული კონ[...] რევოლიუციონური მთავრობა და [...] ხელმწიფო ძალა-უფლება სავსებით [...] შათა კლასს გადასცა.

ჩაიგდო რა სახელმწიფო ძალა-უფ[...] ბა ხელში, პროლეტარიატი შეუდგა [...] ნანდელი სახელმწიფო მაშინის, რომე[...] ლიც ბურჟუაზიის და მემამულეების [...] ტერესებს ემსახურებოდა, მოშლას, [...] დამტვრევას, როგორც მარქსი ახ[...] თებდა პარიჟის კომუნის ტაქტიკას [1871] წელს. იმავე დროს პროლეტარი[...] ქმნის თავის საკუთარ სახელმწიფო [...] შინას, რომელიც შეესაბამება პრო[...] ტარიატის ინტერესებს სოციალისტ[...] რევოლიუციის ხანაში. ამნაირათ რუ[...] თის პროლეტარიატმა პარიზის კომუ[...] შემდეგ პირველათ განახორციელა [...] განტიურ მასშტაბით მუშათა კლას[...] დიქტატურა.

ფ. მ—ძ

(შემდეგი იქნება)

*) როცა ეს წერილი იწერებოდა, იმ დროს იქ ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობა არ არსებობდა. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორატორის აზრით, რევოლიუციის გამოწვევა ერთ ჭრელ შემთხვევით კრებაზე წარმოთქმული სიტყვით არ შეიძლება. რევოლიუცია რომ მომზადდეს, ამისთვის საჭიროა მიხვიდეთ ფაბრიკა-ქარხნებში, სატრანსპორტო სადგურებში, სადაც მუშები თავს იყრიან და იმათ უთხრათ სიტყვა. ამ საქმეს აკეთებს დღეს ინგლისში მუშათა პარტიის მებრძოლი და უფრო რევოლიუციური ფრთა. ორატორი ეკამათება თავის თანამემამულეთ, რომლებიც უარყოფენ, თითქო რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში არ ვითარდებოდეს. ის ამტკიცებს, რომ ამ რევოლიუციონურ მიმდინარეობას ინგლისში მრავალი მომხრე და თანაგრძნობი ჰყავს, და თუ დღემდე ამაზე გარეშე ქვეყანამ ნაკლებათ იცის, ეს ყველა ბურჟუაზიული პრესის მახინაციებს მიეწერება, რომელიც ცდილობს ასეთი მოვლენები დაჩრდილოს და მათ გავლენა მნიშვნელობა დაუკარგოს.

ჩვენ აქ იმიტომ კი არ მოვსულვართ, განაგრძობს ამხ. ვილიამსი, რომ სიტყვები წარმოვსთქვათ, რომლებსაც ინგლისში ვერ ვიტყოდით. პირიქით ყველა ჩვენგანს ამაზე უკეთესი სიტყვები უთქვამს კიდევ უფრო მრავალ რიცხოვან კრებებზე, ვიდრე დღევანდელი კრება. იქაც ასეთივე სიტყვები ითქვა და მუშებს პირდაპირი მოქმედებითი ბრძოლისაკენ მოუწოდებდით. ამხ. ორატორი, წინააღმდეგ ზოგ თავის თანამემამულის, ამტკიცებს, რომ რევოლიუციის მოხდენა თეთრი ხელთათმანებით და ნაზი ქცევით არ შეიძლება. ამის მაგალითი ჩვენ უნგრეთმა უკვე გვიჩვენა (ტაში). ამხ. ვილიამსი გამოთქვამს თავის განცვიფრებას და ღრმა შთაბეჭდილებას, რაც მათზე წითელ-არმიის დღევანდელმა დემონსტრაციამ მოახდინა. ის ამბობს, რომ თვითონ პირადათ მას წილად ხვდა იმპერიალისტურ ომში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ის ვერ წავიდა და მონაწილეობა არ მიუღია; მაგრამ ის მაშინაც ამბობდა და ახლაც მტკიცეთ გაიმეორებს, რომ თუ თავისუფლებისათვის ბრძოლა შეხვდება, ის სიხარულით მიეგებება ამას და ასეთი ჯარის პირველ რიგში იბრძოლებს (ტაში).

ბევრი რამ მოხდა მოულოდნელი მსოფლიოში—დაასრულა სიტყვა ორატორმა—მე შევყურებ ახლა აქ, ამ თეატრში იმ „ლოჟაში", რომელშიაც ერთ დროს ნიკოლოზ მეორე ჯდებოდა. მე ვფიქრობ, რომ ინგლისშიაც მალე დადგება ასეთი დრო და როგორც დღეს აქ ნიკოლოზი აღარ არსებობს და როგორც გერმანიიდან ვილჰელმი გაძევებულია, ასევე დადგება მომენტი ინგლისშიაც, როცა ასეთივე მრავალრიცხოვანი კრება გაიმართება ბუკენგემის სახლის წინ (პალასის), როგორც ეს ხდება დღეს პეტროგრადში საზამთრო სასახლის წინ (მქუხარე ტაში)!.

ამხ. ვილიამსის სიტყვის გათავების შემდეგ ამხ. კამენევი აცხადებს, რომ მოვიდა ცნობა პოლონეთის ფრონტიდან, საიდანაც სჩანს, რომ რუსეთის ჯარი 14 მაისიდან იერიშზე გადავიდა და 17 მაისს საკმაო ტერიტორია დაიკავა—4,000 კვ. ვერსი 190,000 მცხოვრებით—და აუარებელი სამხედრო დავლა ხელთ იგდო. ამ ცნობის გამოცხადებას კრება მქუხარე ტაშით ეგებება და კრების დარბაზი მოიცვა ყიჟინამ: „გაუმარჯოს წითელი არმიის წინამძღოლს, ამხ. ტროცკის!"

ამხ. კამენევი განაგრძობს:

— გამოვაქვეყნე რა ეს ცნობა. კომუნისტური პარტიის სახელით, მე მოვალეთ ვცნობ თავს განვაცხადო, რომ ეს ცნობა მოწმობს იმას, თუ რაოდენ სიცრუეს შეიცავს ბურჟუაზიული პრესის მიერ გადმონაცემი ამბები, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ წითელი არმიის სუსტეზე, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ჯარების პოლონეთის ბატონებთან შეტაკება არის მხოლოთ პირველი ნაბიჯი. ასეთი ცნობების მიღება რომ კვლავაც გრძელდებოდეს, ამისთვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალღონე მოვიკრიბოთ და რაც დღეს აქ ხდება, თავდებია იმისი, რომ ეს ასე მოხდება და ჩვენ გარეშე ფრონტზე კიდევ უფრო გავმაგრდებით.

(შემდეგი იქნება)

## საბჭოთა აზერბეიჯანში*)

მიწათა, მიწმოქმედების სახალხო კომისარმა, საბადაგამაგლი-ოღლიმ, აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის გლეხობას მიმართა შემდეგი მოწოდებით:

ძმებო და ამხანაგებო, აზერბეიჯანის თათრებო, რუსებო, სომხებო, ქართველებო, და ყველა თქვენ, ვინც თავისი ოფლით პოულობთ ლუკმა პურს!

დადგა ჟამი და თქვენ უნდა გახდეთ სრული ბატონ-პატრონი თქვენი შრომისა თქვენსვე მიწაწყალზე, რომელიც თქვენ ასე გიყვართ და პატივს სცემთ, რომელიც თქვენ გაძლევს ბედნიერებასაც და მწუხარებას, სიცილსა და ცრემლებს. ბაქოს პროლეტარიატი, ეს ჭეშმარიტი შვილი რევოლიუციის, თქვენ მოიწვიეთ, რათა დააფუძნოს თქვენს მიწაზე თქვენთვის კეთილი ცხოვრება.

მაგრამ ამას თქვენ შესძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ თვით მოინდომებთ და არ მიანდობთ ამას სხვებს; უნდა იცოდეთ, რომ არავინ არ მისცემს სხვას ბედნიერებას და უფლებას თუ თვითონ არ შეუძლია ეს და ზარმაცია. ეს სავსებით სჩანს პროლეტარიატის კაპიტალიზმთან ბრძოლაში, გლეხების მემამულეებთან ბრძოლაში.

შეხედეთ ოსმალეთს, სპარსეთს, ბუხარას, ხივას, შორეულ აღმოსავლეთს, სადაც ქედ მოხრილი მუშაობენ, და ბეგები, ხანები, შახები, სულთანები, სასულიერო წოდება კი მათ შრომას ითვისებს და ფუფუნებაში ცხოვრობენ.

ცა კი წყდება!

და ის კი ხმას არ ამოიღებს მანამ, სანამ ხალხი თვით არ გამოაცხადებს თავიანთ თავს ბატონად და არ იტყვის: „მიწის პატრონი ვარ მე, მე ვმუშაობ, მე ვხნავ მე ვთესავ, მე მეკუთნის".

თუ თქვენ დაიწყებთ მიწის უწესრიგოთ წართმევას ერთი-მეორეში, ამ წესით თქვენ მიზანს ვერ მიაღწევთ, ამით გამოიწვევთ გაუგებრობას და დაბრკოლებას საბჭოთა მუშაობაში და მისცემთ საშუალებას კონტრ-რევოლიუციას წამოყოს თავი, მაშინ ამით მიეხმარებით თქვენს მტერს, რომელიც აღადგენს ძველს წესებს.

მეფობასა, ხანობასა, ბეგობის და მუსავატელების ბატონობის დროს კიდევ შეიძლება ფიქრი უწესრიგოთ გამოსვლებზე, ამით მაშინ შეიძლებოდა მათი დასუსტება, მაგრამ ახლა დანაშაულობა იქნება ეს, რადგან ძალა უფლება მუშების ხელშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ სახლებში ისხდეთ და მხოლოდ დაეყრნდოთ წითელ ჯარის ძალას.

თქვენ თვითონ პრაქტიკულათ უნდა მოარჩეთ მემამულეებთან ბრძოლას, ისე რომ კვლავ თავი ვეღარ წამოყონ და რომ შესაძლებელი იყოს ძირითად გადაწყვეტა მიწის კანონების. მშრომელმა ხალხმა უნდა შექმნას ფრონტი შრომის დასაცავად და უნდა დაეხმაროს მიწის კომიტეტებს.

ამხანაგებო გლეხებო! მართალია, საბჭოთა მთავრობას ყავს უძლეველი წითელი ჯარი, რომელიც თქვენ დაგიცავს, მაგრამ თქვენ თვითონ უნდა შეეჩვიოთ თავის დაცვას.

ძირს მონობა და უპატიოსნო მოქცევა. საქმეზე, ამხანაგებო, და გამარჯვება ჩვენი იქნება.

გაუმარჯოს რევოლიუციას და მის წითელ არმიას, რომელიც იცავს პროლეტარიატის და გლეხების შრომას.

## საზღვარ გარეთ

**საბჭოები იტალიაში.**

მილანიდან იუწყებიან, რომ სოციალისტების საოლქო კონფერენციამ დაადგინა დაარსდეს მუშათა დეპუტატების საბჭოები იტალიის ქალაქებში, სადაც უფრო შეკავშირებულია პროლეტარიატი. ამ წინადადებამ მიიღო 94 ათასი ხმა 21 ათასის წინააღმდეგ.

**პოლონელი სოციალისტები ომის წინაალმდეგია საბჭოთა რუსეთთან.**

პოლონელი სოციალისტური პარტიის თათბირზე გადაწყდა პროტესტი განუცხადონ მთავრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის.

**გერმანია**

— ესტონიის სატელეგრაფო სააგენტოს

*) ვბეჭდავთ რა ამ მეტათ საყურადღებო დოკუმენტს, ჩვენ არ შეგვიძლია არ მივუთითოთ მაზე ყველა იმ ბატონებს, რომლებიც აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას სიცრუის და ცილისწამების საშუალებით სახელს უტეხენ. რედ.

ბერლინიდან აუწყებენ, რომ ბერლინის ორგანიზაციამ კომუნისტების პარტიისამ გამოაქვეყნა, რომ რეიხსტაგში ასარჩევი კომუნისტების სიაში არიან: კლარა ცეტკინა, პაულ ლევი, ვილგელმ ციკ, პაულ ლანგე, ერნეტ მეიერი, ებერლეინ გეკერტი, ვოლფშტეინი, ფრანკე, ვინგუტი, ცირკელი, კროლი, პეტერს და ბალკერონი.

ბერლინელი კორესპონდენტი „სვენსკა დაგებლადეტ" სწერს, რომ გერმანიის პარტიებში დაიწყო საარჩევნო სამზადისი, რომელიც უნდა მოხდეს 6 ივნისს. ყველას ყურადღებას იპყრობს სპარტაკელების მოწოდება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პარლამენტის არჩევნებში.

## გენერალური შტაბის ცნობა.

**ტფილისი**, ივნისის 10. აგარაკ ბახმაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით ზოტი-ყელის რაიონში აჭარლების ბანდა ჩვენს საზღვრებში შემოიჭრა. ჩვენმა მოსაზღვრე რაზმმა ბანდას შეუტია და გაფანტა. მოწინააღმდეგეს მოუკლით 6 კაცი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 27. ჩვენ მოგვიკლეს 1 კაცი და დაგვიჭრეს ერთიც, რომელიც გარდაიცვალა.

ცხინვალის მიმართულებით სროლა და მზვერავთა მოქმედება. დამატებით მიღებულ ცნობებით ოსების ბანდები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ართმევს სურსათ-სანოვაგეს, ყაჩაღობს და უწესოებას ჩადის.

## ახალი ამბები

— 6 ივნისს სადგ. ნატანებზე ბათომში თბილისიდან მიმავალ სოფიო პრესმანს აღმოაჩნდა 15 გირვანქა არალეგალური ფურცელი, რომელიც ბათომის კომუნისტური პარტიის სახელით იყო გამოშვებული. პრესმანის განცხადებით ფურცლები დაუბეჭდიათ თბილისში და მას იგი ბათომში წასაღებათ ადგილობრივ გაზეთ „კომუნისტის" ტიპოგრაფიიდან მიუღია. მან უარი განაცხადა დაესახელებია ის პირი, რომლისაგანაც მიიღო ფურცლები და ისიც, ვისთვის მიჰქონდა მას იგი. მან თანაც დაუმატა: ეს ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ თფილისში მყოფ კომუნისტური პარტიის ცენ. კომიტეტიდანო. პროკლამაციის ერთ ნაწილში არის მოწოდება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. ბათომის საქართველოსთან შემოერთებისაკენ ლტოლვას სთვლიან იმპერიალისტურ და ავაზაკურ ნაბიჯებათ და წინადადებას აძლევენ საქართველოს მუშებსა და გლეხებს შინაურ და გარეშე იმპერიალიზმის დასამხობათ ხელი გაუწოდონ საბჭოთა რუსეთს. პროკლამაციის მეორე ნაწილი მიმართულია ინგლისელების წინააღმდეგ.

— **რედაქციისაგან:** ის ფურცლები, რომლებზედაც აქ ლაპარაკია, გამოცემულია **რუსეთის კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის მიერ.** საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან და მის ცენტრალურ კომიტეტთან ამ ფურცლებს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს. ცნობა, რომ ვითომც ფურცლები დაბეჭდილია „კომუნისტის" სტამბაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

საქ. კომუნისტების დროებით ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: მიეცეს წინადადება ტფილისისა და ქუთაისის კომიტეტებს, 26 ივნისს საშაწულუკიძის ხსოვნის აღსანიშნავად მოაწყოს ლექციები, სალიტერატურო საღამოები და სხვა.

— მეორე რაიონული საბჭოს ბიურო ტფილისის ორგანიზაციისა საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის, დროებით მოთავსებულია ალექსანდროვის ქუჩაზე № 40 (გიმნაზია პალმოვის). ბიურო ღიაა 10—12 საათამდი და 4—7 საათამდი საღამოისა.

— თელავის ს. კ. პ. ბიურო მოთავსებულია 2 „სობორნი" ქუჩაზე № 5 ილიკო მინდორაშვილის სახლში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

— გუშინ, დილის 10 საათზე, სტამბაში, სადაც ჩვენი გაზეთი „კომუნისტი" იბეჭდება და სადაც დროებით თვით რედაქციაა მოთავსებული, შემოვიდა კედიას თანაშემწე ბ-ნი ჯანელიძე რამდენიმე აგენტის თანხლებით, მან იკითხა სტამბის გამგე, რომელიც იმ დროს იქ არ აღმოჩნდა, რის გამო მან დაიწყო შეურაცყოფითი ხმით ლაპარაკი, მას მიუთითეს მის შეუფერებელ საქციელზე. შემდეგ ბ-ნი ჯანელიძე შეუდგა სტამბის გაჩხრეკას, ეძებდენ რ. კ. პ. ბათომის კომიტეტის სახელით გამოცემულ ფურცლებს. გაჩხრეკამ უშედეგოთ ჩაიარა.

— **ქუჩებში ვაჭრობის აღკრძალვა:** ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მედიკო სანიტარულმა განყოფილებამ მოხსენება წარუდგინა თვითმართველობას ქუჩებში ტკბილეულობით და ცივ სასმელებით ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ის საგნები, რომლითაც ვაჭრობენ ქუჩებში არ შეადგენენ პირველ საჭიროების საგნებს. ამასთან ერთად სწორედ ეს საგნები არიან ყოველგვარ გადამდებ სენის გამავრცელებელნი.

— 8 ივნისს დღის 1 საათზე მე 8 უბნის კომისარმა დაატუსაღა შემთხვევით ალაგზე გურგენ ხაჩატურისძე ისპიროვი, რომელსაც გაეტეხა ბოქლომი სამარია გრიგორის ასულის მნაცაკანოვის ბინაზე და გამოეტანა სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100.000 მანეთისა. ეს ისპიროვი აღმოჩნდა ის პირი, რომელმაც მალაკანის ქუჩაზე, სახლი № 52, ფოცხვერაშვილის ბინიდან გამოიტაცა ოქროული და სხვა და სხვა ნივთები ღირებული 120.000 მანეთისა. დაპატიმრებული დანაშაულებებში გამოტყდა და გადაიგზავნა ბრალდებულებისამებრ.

— **საზავო ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის.** ივნისის სხდომაზე გარეშე საქმეთა კომისიამ განიხილა ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთს შორის დადებული. კომისიას დაესწრენ აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, ხელშეკრულება მიიღეს და მოიწონეს ყველამ ერთის წინააღმდეგ. გადაწყვეტილი იქნა გადაეცეს განსახილველად საზავო ხელშეკრულება იურიდიულ და გარეშე საქმეთა კომისიებს, რომლებმაც შეერთებულ სხდომაზე უნდა ხელახლა განიხილონ ხელშეკრულება საბოლოო ფორმაში.

## დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

**მოსკოვი, ივნ. 10. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი**

პოლონეთისა რუსეთზე ვერაგულათ თავდასხმამ საბჭოთა რუსეთი ახალ ომში ჩაითრია. ომი უნდა დასრულდეს მალე და გამარჯვებით. ამიტომ ყველგან უნდა იქნეს დაცული მკაცრი წესრიგი, ფოლადის დისციპლინა. მუშაობაში ყოველივე შეფერხება, წესრიგის ყოველივე დარღვევა ომს გააგრძელებს და ზედმეტ მსხვერპლს მოითხოვს. ყველა ის, ვინც სცდილობს დაშალოს შრომისა და სამხედრო ფრონტი, ის ან ჯაშუშია ან და თანამშრომელია დენიკინისა და ვრანგელისა, უკან მყოფი ჯაშუშია, თანამშრომელია პოლონეთისა. ეს გამცემი მუშაობა უნდა დაისაჯოს რევოლიუციური კანონის მთელის სიმკაცრით.

8 ივნისს ჩვენი დელეგაცია ფინეთთან მოსალაპარაკებლად დერპტში გაიგზავნა.

„ ბერზინაკისა და ვერეიცკის მეთაურობით როსტოვში მოვიდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ლეონ შანგის და სხვათა შემადგენლობით. ისინი მოსკოვში მიდიან საბჭოთა რუსეთთან ზავის შესაკრელად.

## პატარა ფელეტონი

**„თანამშრომელი"**

ამა წლის სამ ივნისს დიდი ფაცი-ფუცი იყო „ერთობისა" და „ბორბის" რედაქციაში. ერთობის ქუჩა ვერ იტევდა ავტომობილებს და კარეტებს. მათ შორის იყო ის ღირს-შესანიშნავი კარეტა, რომელზედაც პოლკოვნიკმა ჩხეიძემ 70 ათასი მანეთი „გააკეთა". ის მოსრიალდა სწორეთ იმ დროს, როდესაც გ. ურატაძის ოქროს საათზე, რომელიც მან მიიღო საჩუქრათ რუსეთის კომუნისტებისაგან, შესრულდა სწორეთ ათი საათი. ორი ნოე უკვე იქ იყვნენ და მხოლოთ პირველს ელოდენ. ისიც მოსრიალდა ამ ძვირფას კარეტით. სხვა წვრილფეხა თანამშრომლები დიდი ხანია მოსული იყვნენ. მათ შორის იმყოფებოდა „თანამშრომელი" კედიაც. ყველას დიდი აღელვება და მოუთმენლობა ეტყობოდათ. ეს აღელვება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ დღეს თბილისში არა ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა: დღეს გამოვიდა ბალშევიკების გაზეთი „კომუნისტი", რომლის თითო ცალი ყველას ეჭირათ ხელში.

მის ფურცლებზე კი შავით თეთრზე იყო აღბეჭდილი ფილიპე მახარაძის წერილები,—იმ ფილიპეს, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში მუდამ ბომბებით აღჭურვილი დაძრწოდა ყაჩაღებთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის საკუთრება ტყეებში.

ნოემ მოსვლისთანავე შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ:

„ბატონებო! ჩვენ არა ერთხელ და ორხელ ვყოფილვართ განსაცდელში, მაგრამ ყოველთვის გამოვსულვართ, თუ პირნათლად არა, ჯანსაღათ მაინც! იმედი მაქვს ახლაც გამოვალთ ამ განსაცდელისაგან უვნებლათ. ყველა ჩვენგანმა რამე უნდა დასწეროს „კომუნისტზე". მაშ ნუღარ ვკარგავთ დროს, ვახსენოთ ღმერთი და შეუდგეთ საქმეს".

რამდენიმე წუთის შემდეგ რედაქციაში შესწყდა ყოველივე ხმაურობა და გაჩაღდა მხოლოდ კალმების წრიპინი.

მხოლოთ ერთი „თანამშრომელი"—კედია—არ იღებდა მონაწილეობას ამ ლიტერატურულ დოღში და საქმიანობას მიჩვეული იდგა მოწყენილი კარებთან. ბოლოს წყნარი შემპარავი ხმით მიმართა მან ნოე მეორეს:

— თუ შეიძლებოდეს, ნოე ბესარიონის ძე, რამდენიმე დღის ვადა მომეცით თვალყურის სადევნებლათ.

— ვის უნდა ადევნო თვალყური—ბალშევიკები ხომ გავათავისუფლეთ და ასე ჩქარა მათი დაჭერა არ შეიძლება!

— არა, მე მაგაზე არ მოგახსენებთ,—მე მინდა თვალყური ვადევნო „კომუნისტის" ნომრებს და საბაბი უპოვნო შარის მოსადები.

— ჰაა, მაგას თუ იზამ, კარგი იქნება, აბა შენ იცი თუ რამეს მოახერხებ, თორემ გლახათ არის თქვენი საქმე, მე თქვენს დათხოვნაზე ვფიქრობდი უკვე.

— რატომ ბრძანებთ მაგას, ჩვენთვის საქმე მუდამ გამოჩნდება. აი, ახლაც ნახავთ, თუ რა სამსახური გაგიწიოთ!

— აბა შენ იცი! მომიცია ვადა, მხოლოთ რაც შეიძლება ჩქარა.

კედია წავიდა.

უფრჩხილებო თანამშრომლები თავ-აუღებლივ სწერდენ.

და აი, „ერთობა"—„ბორბის" ფურცლები აჭრელდენ „კომუნისტის" გასაკრიტიკებელი წერილებით. მაგრამ... ვერც ავტორებს და ვერც მკითხველებს ისინი ვერ აკმაყოფილებდენ. პირიქით, ყველა წერილებმა უკუღმართი მოქმედება იქონია და „ერთობა"—„ბორბის" ტირაჟმა დაიწყო სისწრაფით ძირს დაშვება. საქმე ისევ „თანამშრომელმა" კედიამ გამოაკეთა. მან ჩქარა აღმოაჩინა „კომუნისტში" აღკრძალული პროკლამაცია წითელ არმიელების მიმართ. თუმცა ეს პროკლამაცია ეკუთვნოდა საქართველოს რესპუბლიკის არ არსებულ მუშათა საბჭოს, და არა ბალშევიკებს, მაგრამ მოხერხებულმა „თანამშრომელმა" მაინც ისარგებლა და „ერთობის" 8 ივნისის ნომერში შესანიშნავი წერილი მოათავსა. წერილი, მარა რა წერილი! ყველა წინანდელი წერილები ჩაჩრდილა მან,—თვით სეით დევდარიანისაც კი! ადგილის უქონლობის გამო ეს შესამჩნევი ჩვენი საწინააღმდეგო საბუთი ვერ მოგვყავს აქ მთლიანათ. მოვიყვანთ მხოლოთ მის ბოლოს, რომელიც აგვირგვინებს მთელ ამ „ლიტერატურულ" შემოქმედებას პატივცემულ „თანამშრომლისას".

„ნუ გვათქმევინებს „კომუნისტი", რომ ამისთანა შემთხვევებში სიტყვიერი კამათი არ კმარა „ეჭვიანების" დასასჯელებლათ"...

ასე თავდებოდა ეს შესამჩნევი წერილი. ამის წაკითხვაზე ფილიპე მახარაძე ისევ შეიარაღდა ბომბებით და გასწია ტყისაკენ თავის ყაჩაღებთან,—მეტეხში კედიას მფარველობის ქვეშ ყოფნას იმათი მფარველობა ამჯობინა.

ს. თ—ია.

## პარტიული ცხოვრება

ოთხშაბათს 9 ივნისს საღამოს 6 საათზე „რუსოველის" სადგომში შედგა მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიუროსა და ამავე რაიონში ყველა პასუხისმგებელ მომუშავე ამხანაგ კომუნისტების შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო 35 კაცამდე. დღის წესრიგი სამი კითხვისაგან შესდგებოდა: 1) პრესა, 2) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და, 3) ორგანიზაციული კითხვები.

პრესის შესახებ კრებამ იქონია სერიოზული მსჯელობა და გადაჭრით გამოსთქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთ „კომუნისტის“ ფონდი

შემოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ ფონდის სასარგებლოთ მერთხე რაიონიდან შემდეგი შემოწირულებანი:

აბოლაძე—100 მ., ძაგაძე—100 მან., გარკ. (მემარ. ს. რ. ინტერ.)—50 მ., ხაზიკ—50 მ., რაფიელ თევზაძე—50 მან., ა. ტერ-ვარტანიანი—100 მ., ნიკო კაშია—50 მ., იან კონჩაკი—50 მ., კაზიმირ პეშკო—50 მ., მიკირტიანი აკოპოვი—7 მ., ირადენ დავლენიძე—10 მ., სერაფიონ მეტრეველი 15 მ., ივანე ალლაძე—10., ალექსი ვასილიევი—10 მ., სერგო მელკონიანცი—10 მ., თედორე კალმანჩიდი—30 მ., ილია კოჭლაძე—10 მან., აპოლონ ჭელიძე—10 მ., ევგენი მედიაძე—15 მ., ილია ისაკაძე—15 მ., ქრისტეფორე კაციტაძე—22 მ., მიხეილ აბრამიანცი—10 მ.. სერგო ოთინაშვილი—10 მ., ხარიტონ კაციტაძე—10 მ., ლად. კაციტაძე 10 მ. გრიგოლ მონუკოვი—5 მან., სერგო ისაკაძე—15 მ., მიტროფან ნიკურაძე—მ., ნიკო ალლაძე—10 მან., სიკო ისაკაძე—15 მ., რუბენ ტერ-აკოპიანცი—20 მ., სერგო ოროგოლიძე—15 მან.,

—

ჯავადოვისაგან—6 მ.

სულ 905 მანეთი

---

ის აზრი, რომ მუშების გაზეთს („კომუნისტზე“ იყო ლაპარაკი) ყოველმხრივათ უნდა ასაზრდოებდეს თვით მუშები, შიგ უმთავრესათ გატარებული უნდა იყოს წმინდა მუშური პოლიტიკა და არა მარტო პოლემიკა; უნდა გაშუქებულ იქნას ყოველმხრივათ მუშების ეკონომიური მდგომარეობა, მათი ყოველდღიური ჭირ-ვარამი, პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობა და მოძრაობა, როგორც საბჭოთა რუსეთში ისე საქართველოში, აგრარული კითხვა და სხვა. ერთი სიტყვით მუშების გაზეთი უნდა იყოს ნამდვილი მუშური. ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მშრომელთ, მათ უმწეო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

ამისათვის აუცილებელია თვითონ მუშებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა გაზეთის ამგვარ ნიადაგზე დაყენებისათვის. მუშები თვითონ უნდა მიეჩვიონ საკუთარი აზრის გამოთქმას ამა თუ იმ კითხვის შესახებ, უნდა მიეჩვიონ წერას საკუთარ ჭირ-ვარამზე, ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებიდან და სხვა. ყველა ამაში დახმარება უნდა გაუწიოს პირველათ მუშებს ყველა პასუხისმგებელმა ამხანაგებმა და თვით რედაქციამ. ასეთი აზრი შეიმუშავა კრებამ და გამოიტანა ამ კითხვის შესახებ შემდეგი დადგენილება: ამ აზრის ცხოვრებაში გასატარებლად აირჩეს რაიონში კომისია, რომელიც მჭიდრო კავშირს დაიჭერს მუშებთან და ერთნაირ ხელმძღვანელობას გაუწევს მათ ბეჭვდითი სიტყვის საქმეში.

ეს კომისია მოაწყობს აგრეთვე რაიონში გაზეთის გავრცელების საქმეს და საჭიროების დროს გამონახავს მისთვის მატერიალურ დახმარების წყაროს.

ამ კომისიას აირჩევს რაიონული ბიუროს და ყველა იაჩეიკების წარმომადგენელთა მომავალი კრება. კრებამ გამოსთქვა აგრეთვე სურვილი, რომ ცენტრალურ კომუნისტურ ფრაქციას (პროფესიონალური კავშირებისას) ყავდეს თავისი წარმომადგენელი სარედაქციო კოლეგიაში.

მეორე კითხვის შესახებ მომხსენებელმა სთქვა, რომ თბილისში განზრახულია დაარსდეს პარტიული შკოლა და კლუბი. არსებობს აგრეთვე გამომცემლობის სექცია ცენტრალურ კომიტეტთან. ყველა ამაებისთვის საჭიროა რაიონებიდან ყველა ცოცხალ ძალების მობილიზაცია.

კრება დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ განცხადებას და იმ წამსვე დაასახელა ის ამხანაგები, რომლებსაც ხსენებულ დარგებში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია.

მესამე კითხვის შესახებ კრებამ დაადგინა: აღდგენილ იქნას რაიონში რაც შეიძლება დაჩქარებით ყველა იაჩეიკები, გაჩაღდეს შიგ პარტიული მეცადინეობა და დაცულ იქნას ყველგან და ყველაფერში სასტიკი პარტიული დისციპლინა.

# მუშათა წერილები

**სადღეისო.**

გამოვიდა „კომუნისტის“ პირველი ნომრები თუ არა, ალაპარაკდა მოწინააღმდეგეთა პრესა და მათ შორის ფედერალისტებიც, რომლებიც კმაყოფილებით გაიძახიან, კომუნისტები დამარცხდნენ. ერთი ვიკითხოთ: რომელ დამარცხებაზე ლაპარაკობენ ფედერალისტები? საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობასა და ჩვენი პარტიის ლეგალიზაციას თუ ისინი დამარცხებას ეძახიან, ძალიან ცდებიან: ჩვენ სწორეთ დღეს მოვიპოვეთ ბრწყინვალე გამარჯვება; მოვიპოვეთ ჩვენი მედგარი ბრძოლით და არა ვინმეს წყალობით. შეიძლება დღეს ჩვენ მიერ წარმოებული იდეიური ბრძოლა მუშათა და გლეხთა ელემენტარული უფლებების აღსადგენათ მწვავე ისრათ ხვდებოდეს გულში ჩვენს მოწინააღმდეგეთ, მაგრამ ჩვენ ეს სრულიად არ გვაფიქრებს. ჩვენი მიზანი ნათელი და აშკარაა: მუშათა კლასის საბოლოოთ განთავსუფლება იმ აუტანელ ექსპლოატაციისაგან, რომლის ქვეშ დღეს იგი მწარეთ გმინავს. პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმისაკენ, აი ჩვენი მთავარი ლოზუნგი და დეე, ჩვენმა მოწინააღმდეგებმაც გაიგონონ ეს ჩვენი ხმა და იგრძნონ ისტორიული მსვლელობა, რომელზედაც დაყრდნობილი ვართ ჩვენ.

**არდონი.**

# საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„კომუნისტი“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას სავსებით ნაყოფიერათ, როცა ის რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგუბერნიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „კომუნისტის“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლად, ობიექტიურათ უნდა იყვნენ შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანიზაციას აწევს.

**ცენტრალური კომიტეტი.**

# მუშათა ცხოვრება

**ქალაქის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა.**

თბილისის საავადმყოფოების პროფესიონალურ კავშირის წევრთა რიცხვი 300-მდეა, მაგრამ, სამწუხაროთ, ესენი მოწყობილი და დარაზმული არ არიან. ჩემის აზრით ასეთი სუსტი და უმწეო კავშირი, როგორიც ქალაქის საავადმყოფოს კავშირია, მეორე არაა.

პროფესიონალური კავშირი მიზნად უნდა ისახავდეს უმთავრესად: 1) თავის წევრების გათვითცნობიერებას, კულტურულ ამაღლებას; 2) ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას; 3) უფლებრივი ინტერესების დაცვას.

საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა ბნელ მასსას წარმოადგენს, რომელიც სრულებით ვერ გამორკვეულა დღევანდელ მოვლენებსა და ამბებში. მხოლოდ იგი მოწყურებულია ცოდნას, უნდა გაიგოს მშრომელი კლასის მდგომარეობა, საერთოდ დღევანდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ვითარება. ეს ხალხი საუკეთესო აუდიტორია იქნებოდა სახალხო ლექციებისათვის, სადაც იგი გაეცნობოდა როგორც მიმდინარე მომენტს, ისე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან საჭირო ცნობებს შეიძენდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, კავშირის ხელმძღვანელებს ერთხელაც არ უცდიათ მოეწყოთ საჯარო ლექციები და სხვა, რათა ცნობიერება შეეტანათ მუშა-მოსამსახურეთა მასსაში.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა ძალიან მწვავეა, კერძოდ საავადმყოფოს მოსამსახურეთა, რომელთაც, საავადმყოფოს ქალაქის განაპირად მდებარეობის გამო, ტრამვაიზე ეხარჯებათ დიდი ნაწილი თავის ჯამაგირისა. ეს ჯამაგირი კი მეტად მცირეა, დღევანდელ პირობებში. ეძლევათ რაღაც ორი ათას ხუთასი მან. (2,500) თვეში, რითაც აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ერთი კაცისთვისაც კი ყოვლად შეუძლებელია. ამას მიუმატეთ ოჯახის ხარჯი და ისიც, რომ ჯამაგირებს ერთობ დაგვიანებით აძლევენ, და თქვენ წარმოიდგენთ სრულ სურათს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ გაჭირვებისას. პროფესიონალ. კავშირი ხედავს ყველაფერ ამას, მაგრამ არ მიუღია რაიმე ზომები ჯამაგირის მომატების ან თავის დროზე დარიგებისათვის და საზოგადოთ ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობაც კი არ არის დაცული. მიღება-დათხოვნას კავშირს არავინ ეკითხება. ტყუილად აქვს მას უშველებელი სია შრომის მაძიებელთა: ადმინისტრაციას სულ სხვა ხალხი მოყავს. მუშა-მოსამსახურეებს ამუშავებენ 10—12 საათი, წინააღმდეგ არსებულ 8 საათის სამუშაო დღისა; მათთვის არ არსებობს კვირა-უქმე დღეები; ამგვარ შემთხვევებში სხვა დაწესებულებებში ეძლევათ ზედმეტი-მუშაობისათვის; საავადმყოფოს მოსამსახურენი ამას მოკლებული არიან.

თავის შელახულ უფლებების აღსადგენად კაცს სიტყვა ვერ დაუძრავს; მუშა—მოსამსახურე მუდამ დათხოვნის მოლოდინში იმყოფება; არავინ არის დაზღვეული, რომ მას სრულიად უმიზეზოდ ქუჩაში არ გააგდებენ და ლუკმა პურს არ მოუსპობენ. ამას წინად სრულიად უდანაშაულოდ დაითხოვეს რამოდენიმე მუშა. თბილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირს შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე, სადაც, აღნიშნავს რა დასჯილ ამხანაგების სრულ უდანაშაულობას, თხოულობს მათ უკან მიღებას. ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რომ ქალაქის დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნა ქალაქის გამგეობის უფლებას შეადგენს, რის გამო კავშირის შუამდგომლობა განხილული არ იქნა.

**კან.**

—

**თფილისი**

6 ივნისს შესდგა ავჭალის მუშათა აუდიტორიაში თფილისის საქონლის მზიდველთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საგანგებო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. ძეგველოვი, მდივნათ დიომიდე ქუჩულორია. დღის წესრიგს შეადგენდა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კავშირის მდგომარეობაზე და მისი ახალ საფუძველზე დაყენება, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 3) თვიური საწევრო გადასახადის გადიდება და 4) მიმდინარე კითხვები.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის მდივანმა დ. ქუჩულორიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა გამგეობის უმოქმედობას, რის შედეგია, ამბობს მომხსენებელი, რომ კავშირი არა სდგას თავის დონეზე და არ ეთანხმება მის მიზანსა და დანიშნულებას.

ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემული ნიხრი ტვირთის გადაზიდ-გადმოზიდვაზედ სანახევროთ არ აკმაყოფილებს კავშირის წევრთა მოთხოვნილებებს. დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს კრებას ფხიზლათ მოკიდონ საქმეს ხელი და აირჩიონ ისეთი გამგეობა, რომელიც მეტს უნარს გამოიჩენს ორგანიზაციულ მუშაობაში, შექმნის კავშირში მტკიცე დისციპლინის და კავშირის პრინციპებს დაიცავს, რითაც კავშირს დააყენებს თავის ნამდვილ გზაზე. კრებამ თითქმის ერთხმათ გაიზიარა მოხსენება და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმათ დადგენილ იქნა: არჩეულ იქნას ახალი გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქნას გარეშე მცოდნე პირი ჯამაგირით. შემდეგ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობაში ერთხმათ არჩეულ იქმნენ: 1) გ. ძეგველოვი, 2) კალისტრატე ჩემია (ბოლშ.) 3) ნიკ. ჭილაშვილი, 4) სილოვან ჩიქობავა და 5) სანდრო ბრეგვაძე (ბოლშ.) კანდიდატებათ: 1) ცატუროვი დავით, 2) ნარსია და 3) ს. შალამოვი, სარევიზიო კომისიაში: მაყაშევი ივანე, გ. ტატიანი და დ. ცატუროვი. კანდიდატებათ: ს. გამაზოვი და გ. ხარჩილაძე. გამგეობის მდივნათ დარჩა დ. ქუჩულორია. მესამე კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან თავმჯდომარის მოწვევით გადიდდება თვიური ხარჯი, ამისთვის თვიური საწევრო გადასახადი ორჯერ, ე. ი. ცალცხენიან „პოდვოდზე“ თვიური საწევრო გადასახადი 80 მან., წყვილ-ცხენიანზე 100 მანეთი.

8 ივნისს შესდგა ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის შეერთებული სხდომა, სადაც მოწვეული იყო ძველი გამგეობის ხაზინადარი ილია მაისაშვილი, რომელსაც საზოგადო კრების დადგენილების თანახმად უნდა ჩაებარებია ახალ გამგეობისათვის კავშირის კასა. მოხდა რევიზია, შემოწმებულ იქნა კვიტანციები და წიგნები, სადაც აღმოჩნდა ბევრი ბოროტ მოქმედება მაგ. მიღებული ქონია საწევრო ფული და კვიტანციები არ გაუცია.

აი ასეთი ვაჟბატონი და ხალხის ფულის გამფლანგველი ყოფილა თურმე კავშირის გამგეობაში და რა გასაკვირველია თუ ამისთანა გამგეობამ, რომელსაც მშრომელი ხალხის ავლა დიდება სურს გამოიყენოს თავისი ჯიბეების გასასქელებლათ, ვერაფერი ვერ გააკეთა.

**კუკუ მინაშვილი**

# კომუნარების სიმღერიდან.

**ი. ონოვისა.**

გვიქუხს და გვიჭექს ბედისწერა განრისხებული,
ქარ-ბუქს სწადია ნაცარ-მტვერათ გადაგვაქციოს;
დაე, გზა ჩვენი დარჩეს ტანჯვათ გადაქცეული,
მტერი ჩვენს ალამს ხელთ ვერ იგდებს, რომ დაგვიხიოს;
ჩვენ ჩვეულნი ვართ, რომ გვიწვიმდეს ბედის ტყვიები.

სასტიკათ ვებრძვით დამყაყებულ ძველ კანონებსა,
ჩვენ ქვეყნისათვის შემოვიღეთ წესი ახალი.
და ვით ნაგავი უვარგისი მივეცით ცეცხლსა
წარსულის გემი ხავსიანი, ფუჭი, დამპალი...
ჩვენ ვხედავთ, როგორ სამარდება ძველი წესები,

ჩვენ გვწამს, რომ ქვეყნათ გადადინდება
შრომის კომუნის ნაკადი ჩქარი,
თავს გადაგვივლის ჭექა-ქუხილი,
ისრებს ამოყობს შორით ცისკარი...
ჩვენ ვემზადებით, რომ დავსაჯოთ მშრომელთა მტრები...

მტერთან ბრძოლის დროს შესვენება არ შეიძლება,
უნდა ელავდეს მშრომლის ხელში ბასრი მახვილი,
მალაროებში აღზრდილებო,—მებრძოლთა რაზმში!
ჩვენი რწმენა ხომ გავლილია ცეცხლისა ალში...
ჩვენ ჩვეულნი ვართ, რომ გვიწვიმდეს ბედის ტყვიები...

**სანდრო ეული.**

# ახალბაიაზეთის მაზრაში მომხდარ გამოსვლების ამბავი.

სომხეთის მმართველი პარტია, დაშნაკელები, დღეს თავის გამარჯვებას დღესასწაულობენ. მას შემდეგ, რაც მათ ახალბაიაზეთის მაზრის გლეხებისა და ჯარის ნაწილების აჯანყება ჩააქრეს, თავს არხეინათ გრძნობენ, მაგრამ ასეთი მათი სიმშვიდე დროებითია.

მოკლეთ ამ გამოსვლების ისტო[...] ასეთია: ახალბაიაზეთის მაზრის მც[...] რებთა ჩუმი დრტვინვა და უკმაყო[...] ლება კარგა ხანია გაისმოდა და ეძე[...] გამოსავალ გზას ანუ ფორმას, და [...] ნახა კიდეც ამ გვარი გამოსავალი. [...] ლაქისა და სოფლის ღარიბ-ღატა[...] ჩვენში დაშნაკელების აგენტების მ[...] ვაწეობის წყალობით უკიდურეს მდ[...] მარეობაში ჩავარდენ და მათი მოთ[...] ნების ფიალაც აივსო. მექრთამეო[...] ძარცვა-გლეჯა, სპეკულიაცია და ყო[...] გვარი ველური ფარფაში ხელობათ გ[...] ხადეს აქაურმა გენერლებმა, ოფიცრებ[...] კომისრებმა და ყველა ჯურის მოხა[...] ხურეებმა. მშრომელი მასსა მწარედ გ[...] ნავდა მათ კლანჭებში. და აი, როცა [...] მუქთა-ხორები მუდმივ განცხრომას [...] ლეოდენ თავიანთი ნაძარცვ-ნაგლეჯ[...] ერთ დღეს მოულოდნელათ მეხივით [...] ვარდა მათ თავზე გლეხებისა და ჯა[...] ნაწილების აჯანყების ამბავი. უწინ[...] რის ნაწილები გამოვიდენ და გაემა[...] ენ კარანლუგისაკენ. გზა-და-გზა უერთ[...] ბოდა მათ აჯანყებული სოფლები წი[...] ლი დროშებით. გამოსვლებში მონ[...] ლეობას იღებდენ შემდეგი სოფლ[...] ქვედა ადიამანი, გელი, ალიკრიხი, [...] ლახაჩი, გეზალდარა, ერანოსი, კოუ[...] ჟიკი, დამაკარდანი, კულალი, პაშა[...] დი და თვით ახალი ბაიაზეთის დ[...] ნაწილი. გაჩაღდა ბრძოლა, რის შემ[...] ქალაქი აღებულ იქნა. ეს იყო 15 მა[...] იმ წამსვე შედგა სამხედრო რევოლ[...] ციონური კომიტეტი. დაშნაკელები [...] ქცენ. კომიტეტი შეუდგა მთავრობის [...] დგენას. მცხოვრებლებმა თავისუფ[...] ამოისუნთქეს, აღტაცებით მიეგ[...] ახალ მთავრობას. კომუნისტებს ყველ[...] მუსიკითა და წითელი დროშებით ხ[...] ბოდენ.

შეწყდა ძარცვა-გლეჯა, შეურაცყ[...] დაცინვა და დამცირება მოქალაქე[...] გამომწვლავნდა დაშნაკელთა აგენტ[...] მიერ ჩადენილი ყველა ბოროტე[...] რომლის აქ ჩამოთვლა ძალიან შორ[...] გვიყვანდა.

მომხდარ ამბებით დამფრთხალმა [...] ვნის მთავრობამ გამოგზავნა აჯან[...] ჩასაქრობათ რაზმი, რომელმაც პ[...] ლათ უარი განაცხადა აჯანყებუ[...] წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ ბ[...] მოახერხეს მათი მოტყუილება: თა[...] მა ალყა შემოგვარტყესო, უთხრეს, [...] ერთეს ამათ ოსმალეთიდან მოსული [...] ხების ბანდები და მიიტანეს იე[...] ბრძოლამ ოთხი საათი გასტანა. დ[...] კელების გამარჯვებას ხელი შეუწყ[...] ოფიცრების მიერ ჩადენილმა ღალ[...] რომლებიც წინათ კომუნისტებთან [...] ყოფებოდენ. მათ გაიმარჯვეს. ამას [...] დეგ დაიწყო სასტიკი და შეუბრალ[...] ლი მოპყრობა კომუნისტებისადმი. [...] ნეს სურახანიანი ჯერ გაროზგეს, [...] დააგლიჯეს და ცოცხალ მკვდარი [...] ში ჩააგდეს. მეორე დღეს მოტყუილ[...] გამოიყვანეს იქიდან და გაუსამართ[...] ლათ დახვრიტეს. დანარჩენი 400 კ[...] დე დაამწყვდიეს ციხეში, შემდეგ [...] დათანობით გამოარჩიეს იქიდან ზ[...] ერთეები და დახვრიტეს. ასე დაიღ[...] მაგალითად, გრიგორ დადიკიანი, [...] ბეკ ხუდუმიანი, ხაჩატურ პოშატ[...] და სხვები. გაქცეულების ოჯახებს [...] ბევენ დაშნაკელები, ატყვევებენ [...] ნათესავებს, ართმევენ პურს, საქონ[...] სახლის ავეჯეულობას და სხვას. [...] მუნისტებს ყველას ყელები უნდა [...] ჭრათ, რომ არც ერთი იმათგანის [...] სენებელი აღარ დარჩეს აქ საბჭოთა[...] რების მოახლოვების დროსო“, ამბ[...] დაშნაკელები და მისი აგენტები.

ციხეში მყოფი ამხანაგები ძლიერ[...] ჭივრებაში არიან. ახლა სომხეთის [...] ხეებში „უგოლოვნები“ აღარ სხ[...] ყველა პოლიტიკურ დამნაშავეებით [...] სეს.

—

# პროვინციელი ამხანაგე[...] საყურადღებოდ!

კანტორა სთხოვს იმ ამხ[...] გებს, რომლებიც დებულ[...] გაზეთ „კომუნისტს“ გას[...] ცელებლათ—სჩქარი ფულ[...] მოგვიგზავნონ თანდათანო[...]